ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის სამედიცინო- სოციალური დახმარების მიმართულებით

გაწეული მუშობის შესახებ

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო საანგარიშო პერიოდში ახორციელებდა საქმიანობას სხვადასხვა მიმართულებით.

სამინისტროს მიზანია აფხაზეთის მოსახლეობის სამედიცინო უზრუნველყოფის ხელშეწყობა მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების, დაავადებათა გართულებების და მოკვდაობის მაჩვენებლის შემცირების მისაღწევად. რაც ხორციელდება აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, აგრეთვე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებთა სტაციონარული მკურნალობისა და ამბულატორიული დახმარების პროგრამებით. მათი რეალიზაციისთვის სამინისტროს მიერ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გამოცხადდა ელექტრონული ტენდერები.

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტების ფარგლებში სამინისტროში მოქმედებდა შემდეგი პროგრამები:

1. **აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და მათი ოჯახის წევრთა (მეუღლე), აგრეთვე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებთა (ნეიტრალური პასპორტის მქონე პირების) ამბულატორიული დახმარების პროგრამა** ითვალისწინებს აღნიშნული დახმარების ცალკეული სახეების ღირებულების დაფინანსებას. ჭპროგრამის განხორციელების მიზნით გამოცხადდა ტენდერები.

1.1 **ბირთვულ მაგნიტურ-რეზონანსული გამოკვლევების კომპონენტი ხორციელდება** ქ.თბილისში შპს „ავერსის კლინიკაში“. პირველ ეტაპზე პროგრამის ფარგლებში გამოკვლევა ჩაუტარდა 100 ბენეფიციარს. კომისიური გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა 25000 ლარის სამედიცინო მომსახურება. (პროგრამა სრულად ამოიწურა),

მეორე ტენდერის შედეგების საფუძველზე დაფინანსდა 36 ბენეფიციარი, ანაზრაურებული თანხა შეადგენს 9000 ლარს. მესამე ტენდერის ღირებულება შეადგენს 19550 ლარს. დაფინანსდა 86 ბენეფიციარი.

სულ მომსახურების ღირებულება აუნაზღაურდა 222 ბენეფიციარს.

1.2 **კომპიუტერული ტომოგრაფიული გამოკვლევის კომპონენტი** მიმართულია რთულ შემთხვევებში დიაგნოზის ვერიფიცირებისთვის. პირველ ეტაპზე დახმარება გაეწია 50 ბენეფიციარს, პროგრამა ხორციელდება შპს „ავერსის კლინიკაში“. კომისიური გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა 10000 ლარის სამედიცინო მომსახურება. (პროგრამა სრულად ამოიწურა).

მეორე ტენდერის შედეგების საფუძველზე დაფინანსდა 18 ბენეფიციარი, ანაზრაურებული თანხა შეადგენდა 3450 ლარს.

მესამე ტენდერის ღირებულება შეადგენს 4000 ლარს. დაფინანსდა 20 ბენეფიციარი.

სულ მომსახურების ღირებულება აუნაზღაურდა 88 ბენეფიციარს.

სულ პროგრამით დაფინანსდა 310 ბენეფიციარი. ბიუჯეტმა შეადგინა 71000 ლარი.

1.3 **„აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და მათი ოჯახის წევრთა (მეუღლე), აგრეთვე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებთა (ნეიტრალური პასპორტის მქონე პირების) ამბულატორიული დახმარების პროგრამის თვალის ლაზერული ქირურგიული მომსახურების კომპონენტის“** განხორციელებისთვის გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი. ტენდერის გამარჯვებული გახდა შ.პ.ს. „ახალი მზერა“. პროგრამა ითვალისწინებს ბენეფიციართა რეფრაქციული ანომალიის ლაზერით კორექციას. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 10000 ლარს. ხელშეკრულება გაფორმდა ტენდერში გამარჯვებულ შ.პ.ს. „ახალი მზერა“-სთან. **დაფინანსდა 4 ბენეფიციარი, სულ 8 ეპიზოდი.**

2. აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სარეაბილიტაციო მკურნალობის პროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწია 70 ბენეფიციარს, ანაზღაურებული თანხა შეადგენს 8281 ლარს. პროგრამა განხორციელდა ს.ს „ვერე-ხხჯ“-ში.

მეორე ტენდერის შედეგების საფუძველზე დაფინანსდა 36 ბენეფიციარი, პროგრამა განხორციელდა ქ.თბილისში შპს „ავერსის კლინიკაში“.

სულ მომსახურება გაეწია 106 ბენეფიციარს.

ანაზღაურებული თანხა შეადგენს 14948 ლარს

3. აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მედიკამენტებით დახმარების პროგრამა ითვალისწინებს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის, მკურნალობისთვის საჭირო მედიკამენტების ღირებულების ანაზღაურებას, პროგრამის რეალიზაციისათვის განხორციელდა ტენდერი, ხელშეკრულება გაფორმდა შპს „ეი-ბი-სი“სთან. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 815 ბენეფიციარი, ანაზღაურებული თანხა შეადგენს 44841,65 ლარს.

4. **აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა გასვლითი პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვების პროგრამის მიზანია** ადგილზე ინსტრუმენტული და ლაბორატორიული გამოკვლევების გზით ავადობის აქტიური გამოვლენა, დევნილთა მედიკამენტებითა და ჰუმანიტარული ტვირთით უზრუნველყოფა.

2014 წლის 5 აპრილს სამინისტრომ ჩაატარა პროფილაქტიკური სამედიცინო-გასინჯვების აქცია „აკად, ნ.ყიფშიძის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკის“ ექიმ-სპეციალისტთა ჯგუფთან თბილისის ზღვაზე დევნილთა კომპაქტური ჩასა\ხლების ობიექტებში: „ოქროს საწმისი“. „ქართლი“ და „კადეტთა კორპუსი“. სულ მომსახურებულ იქნა – 515 ვიზიტი და გაისინჯა 250 დევნილი.

სამეგრელოსა და იმერეთის რეგიონში დაგეგმილი აქციების რეალიზაციისათვის განხორციელდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერები.

2014 წლის 11-13 აპრილს პროგრამის ფარგლებში მრავალპროფილური სამედიცინო-გასინჯვების აქცია ჩაატარდა ქ,ზუგდიდში და ზუგდიდის რაიონში (სოფ. დარჩელი) მცხოვრები დევნილებისათვის. ::ქ,ზუგდიდში სამედიცინო გასინჯვებს აწარმოებდა „აკად, ნ.ყიფშიძის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკის“ ექიმ-სპეციალისტთა ჯგუფი, ხოლო სოფელ დარჩელში – „აკად. ჯო.ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის“ წამყვანი სპეციალისტები. სულ მომსახურებულ იქნა – 2300 მდე ვიზიტი და გაისინჯა 800 დევნილი.

2014 წლის 9-10 მაისს მრავალპროფილური სამედიცინო- გასინჯვების აქცია ჩაატარდა ქ,სენაკში და სენაკის რაიონში მცხოვრები დევნილებისათვის. სულ მომსახურებულ იქნა – 2500 მდე ვიზიტი და გაისინჯა 900 დევნილი. ღონისძიება განხორციელდა „აკად, ნ.ყიფშიძის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკის“ ექიმ-სპეციალისტთა თანადგომით.

2014 წლის 16-18 მაისს სამინისტრომ პროფილაქტიკური გასინჯვების აქცია ჩაატარა წალენჯიხის რაიონში (დაბა ჯვარი) და მიმდებარე სოფლებში მცხოვრები დევნილებისათვის. სულ მომსახურებულ იქნა – 1500 მდე ვიზიტი და გაისინჯა 400 დევნილი. მათ შორის საზღვრისპირა სოფლებიდან (ღვაშგვერდი. ლლეკუხონა, დიხაზურგა, საბერიო) სამედიცინო მომსახურების მიღების მიზნით გადმოსული პირები, ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო „აკად. ჯო.ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის“ წამყვანმა სპეციალისტებმა.

2014 წლის 30-31 მაისს და 1 ივნისს მრავალპროფილური სამედიცინო- გასინჯვების აქცია ჩატარდა ქ,ზუგდიდის („ვექტორი“ და „ფაიფურის ქარხნის ადმინისტრაციული შენობა“) და ზუგდიდის რაიონის (სოფ, ინგირის საერთო საცხოვრებელი) კომპაქტური ჩასახლების ობიექტებში მცხოვრები დევნილებისათვის. სულ მომსახურებულ იქნა – 2000

მდე ვიზიტი და გაისინჯა 500 დევნილი. სამედიცინო გასინჯვებს აწარმოებდა „აკად. ჯო.ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის“ წამყვანი სპეციალისტები.

2014 წლის 21-22 ივნისს პროფილაქტიკური სამედიცინო- გასინჯვების აქცია ჩაატარდა იმერეთის რეგიონში. კერძოდ ქ,წყალტუბოში, ქ,ხონსა და ქ.ქუთაისში კოპიტნარის ტერიტორიაზე კომპაქტური ჩასახლების ობიექტებში, სულ მომსახურებულ იქნა – 2300მდე ვიზიტი და გაისინჯა 800 დევნილი. ექიმთა ჯგუფი, დაკომპლექტებული თბილისის, ქუთაისის, ფოთისა და სენაკის დევნილთა სამედიცინო დაწესებულებების ექიმ-სპეციალისტებით, მუშაობდა ქ,ხონსა და კოპიტნარში, ხოლო ქ, წყალტუბოში გასინჯვებს აწარმოებდა „აკად, ნ.ყიფშიძის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკის“ წამყვანი სპეციალისტები.

2014 წლის 5 ივლისს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა გასვლითი პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვების პროგრამის“ ფარგლებში ქ. ფოთში (მალთაყვა, ახალი რაიონი) მცხოვრები დევნილებისათვის ჩაატარა სამედიცინო გასინჯვები, რომლის მიზანი იყო ადგილზე მრავალპროფილიანი მაღალკვალიფიციური სამედიცინო-პროფილაქტიკური გასინჯვების გზით ავადობის აქტიური გამოვლენა, სათანადო მედიკამენტებითა და ჰუმანიტარული ტვირთით უზრუნველყოფა.

ქ. ფოთში (მალთაყვა, ახალი რაიონი) სამედიცინო გასინჯვებს აწარმოებდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამედიცინო დაწესებულებების ექიმი-სპეციალისტები, სამედიცინო ცენტრი „ლანცეტის“ სამშობიაროს ექიმი-გინეკოლოგი და ექიმი-ოფთალმოლოგი ოფთალმოლოგიური კლინიკიდან „ახალი მზერა“.

ქ. ფოთში მიღებული იყო 450-მდე ბენეფიციარი, განხორციელდა 1300- მდე ვიზიტი. გასინჯულთა შორის იყვნენ როგორც ქ. ფოთში მცხოვრები დევნილები, აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობაც.

2014 წლის 9 აგვისტოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა გასვლითი პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვების“ პროგრამის ფარგლებში ქ.რუსთავში მცხოვრები დევნილებისათვის, მათივე კოლექტიური წერილის საფუძველზე, ჩაატარა სამედიცინო გასინჯვები,

2014 წლის 25 ივლისს დევნილთა მდგომარეობის და საჭიროებების ადგილზე შესწავლის მიზნით, ქ. რუსთავში გასული იყო სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკთა ჯგუფი, რომელიც შეხვდა ქალაქის კომპაქტურ ჩასახლებებში მცხოვრებ დევნილ მოსახლეობას. სამინისტროს თანამშრომლებთან ერთად აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს შეხვდნენ აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი - დ. კეკელია და არასამთავრობო ორგანიზაცია „გზა

აფხაზეთისაკენ“ წარმომადგენელი- კ.შამათავა. ამ შეხვედრების შედეგად დაიგეგმა მომავალი ღონისძიების დეტალები.

სამედიცინო დაწესებულებების დიდი სიშორის გამო, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სამედიცინო გასინჯვები ჩატარდეს უშუალოდ დევნილთა ჩასახლების ობიექტებში, კერძოდ ყოფილ სამშობიაროს და სპი-ს საერთო საცხოვრებლის შენობებში, სადაც განთავსდება ექიმთა ორი ჯგუფი. თითოეული მათგანი მოემსახურება 9-9 კომპაქტურ ჩასახლებაში განთავსებულ დევნილებს.

ქ. რუსთავში სამედიცინო გასინჯვებს აწარმოებდნენ სამედიცინო ცენტრ „ლანცეტის“ (ბენეფიციართა მიღებას აწარმოებდა ყოფილი სპი-ს საერთო საცხოვრებლის შენობაში) და „დიაბეტის, ენდოკრინული და გულ-ფილტვის დაავადების ცენტრის“ (მუშაობდა ყოფილი სამშობიაროს შენობაში) კვალიფიციური სპეციალისტები, აგრეთვე, დევნილთა სამედიცინო დაწესებულებების წამყვანი ექიმები.

ქ. რუსთავში სულ მიღებული იყო 450-მდე ბენეფიციარი, განხორციელდა 1200- მდე ვიზიტი. გასინჯულთა შორის იყვნენ ქ. რუსთავში მცხოვრები როგორც აფხაზეთიდან, ასევე სამაჩაბლოდან იძულებით გადაადგილებული პირები, აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობაც.

2014 წლის 15 აგვისტოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა გასვლითი პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვების“ პროგრამის ფარგლებში სოფელ ვაზიანში, სამხედრო დასახლებაში მცხოვრები დევნილებისათვის ჩაატარა სამედიცინო გასინჯვები.

სოფელ ვაზიანში სამედიცინო გასინჯვები ჩატარდა ვაზიანის ბაგა-ბაღის შენობაში. სამედიცინო გასინჯვებს აწარმოებდნენ „დიაბეტის, ენდოკრინული და გულ-ფილტვის დაავადების ცენტრის“ კვალიფიციური სპეციალისტები (კარდიოლოგი და ენდოკრინოლოგი), აგრეთვე, დევნილთა სამედიცინო დაწესებულებების წამყვანი ექიმები.

სოფელ ვაზიანში სულ მიღებული იყო 120-მდე ბენეფიციარი, განხორციელდა 450-მდე ვიზიტი. გასინჯულთა შორის იყვნენ სოფელ ვაზიანში მცხოვრები როგორც აფხაზეთიდან, ასევე სამაჩაბლოდან იძულებით გადაადგილებული პირები, აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობაც.

2014 წლის 22 აგვისტოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა გასვლითი პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვების“ პროგრამის ფარგლებში ქ. თბილისში, სასტუმრო „ბახტრიონში“ მცხოვრები დევნილებისათვის, მათივე კოლექტიური წერილის და 2014 წლის 15 აგვისტოს ჩატარებული გაფართოვებული სხდომის ნ22 ოქმის დადგენილების საფუძველზე, ჩაატარა სამედიცინო გასინჯვები, რომლის მიზანი იყო ადგილზე მრავალპროფილიანი მაღალკვალიფიციური სამედიცინო-პროფილაქტიკური

გასინჯვების გზით ავადობის აქტიური გამოვლენა, სათანადო მედიკამენტებითა და ჰუმანიტარული ტვირთით უზრუნველყოფა.

სამედიცინო გასინჯვები ჩატარდა ქალაქ თბილისში, სასტუმრო „ბახტრიონის“ შენობაში. სამედიცინო გასინჯვებს აწარმოებდნენ დევნილთა სამედიცინო დაწესებულებების წამყვანი ექიმები და სამედიცინო ცენტრ „ლანცეტის“ ექიმი-გინეკოლოგი. სამედიცინო ჯგუფი დაკომპლექტებული იყო შემდეგი სპეციალისტებით : ოჯახის ექიმი, თერაპევტი, კარდიოლოგი, ნევროლოგი, პედიატრი, ოფთალმოლოგი, ენდოკრინოლოგი, ქირურგი, ოტორინოლარინგოლოგი, გინეკოლოგი, ექოსკოპისტი, ექიმი-ლაბორანტი.

ბენეფიციარებს ჩაუტარდათ შემდეგი გამოკვლევები: გლუკოზის განსაზღვრა სისხლში, ულტრასონოსკოპია (მუცლის ღრუს ორგანოების, ფარისებრი ჯირკვლის), ელექტროკარდიოგრაფია.

სასტუმრო „ბახტრიონში“ სულ მიღებული იყო 110-მდე აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირი, განხორციელდა 450-მდე ვიზიტი.

2014 წლის 18 სექტემბერს „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა გასვლითი პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვების“ პროგრამის ფარგლებში დაბა წყნეთში მცხოვრები დევნილების სამედიცინო გასინჯვებს აწარმოებდნენ სამედიცინო ცენტრ „ლანცეტის“ და „დიაბეტის, ენდოკრინული და გულ-ფილტვის დაავადების ცენტრის“ კვალიფიციური სპეციალისტები, აგრეთვე, დევნილთა სამედიცინო დაწესებულებების წამყვანი ექიმები. დაბა წყნეთში მიღებული იყო 110-მდე აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირი, განხორციელდა 420-მდე ვიზიტი.

2014 წლის 1-2 ნოემბერს „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა გასვლითი პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვების“ აქცია ცატარდა ქ. ბორჯომში. პროგრამის ფარგლებში ქალაქ ბორჯომში მცხოვრები დევნილების გასინჯვებს აწარმოებდნენ სამედიცინო ცენტრ „ლანცეტის“ კვალიფიციური სპეციალისტები, აგრეთვე, დევნილთა სამედიცინო დაწესებულებების წამყვანი ექიმები. ქალაქ ბორჯომში სულ მიღებული იყო 170-მდე როგორც აფხაზეთიდან, ასევე სამაჩაბლოდან იძულებით გადაადგილებული პირი, განხორციელდა 760-მდე ვიზიტი.

2014 წლის 21-23 ნოემბერს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა გასვლითი პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვების“ პროგრამის ფარგლებში აჭარის რეგიონში (ქ. ბათუმი-ბენზეს დასახლება, ჩაქვი და ქ. ქობულეთი) განსახლებული დევნილებისათვის ჩაატარა სამედიცინო გასინჯვები.

გასინჯვებს აწარმოებდნენ სამედიცინო ცენტრ „ლანცეტის“ კვალიფიციური სპეციალისტები, აგრეთვე, დევნილთა სამედიცინო დაწესებულებების წამყვანი ექიმები. აჭარის რეგიონში მიღებული იყო 380-მდე ბენეფიციარი, განხორციელდა 1200-მდე ვიზიტი. (თითოეულ პაციენტზე გაიცა მედიკამენტები როგორც ექიმების დანიშნულებების

შესაბამისად, აგრეთვე 5.082 ლარის ღირებულების ,,პირველი დახმარების სამედიცინო ნაკრები'').

2014წ. 28 ნოემბერს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა გასვლითი პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვების“ პროგრამის ფარგლებში ჩაატარა ღონისძიება ქ.თბილისში, გლდანში განსახლებული დევნილებისათვის, გასინჯვებს აწარმოებდნენ სამედიცინო ცენტრ ,,ლანცეტის“ კვალიფიციური სპეციალისტები, აგრეთვე, დევნილთა სამედიცინო დაწესებულებების წამყვანი ექიმები. ქ.თბილისში, გლდანში მიღებული იყო 81 ბენეფიციარი, განხორციელდა 161 ვიზიტი. (თითოეულ პაციენტზე გაიცა მედიკამენტები როგორც ექიმების დანიშნულებების შესაბამისად, აგრეთვე 5.082 ლარის ღირებულების ,,პირველი დახმარების სამედიცინო ნაკრები'').

2014 წლის 6-7 დეკემბერს „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა გასვლითი პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვების“ პროგრამის ფარგლებში **კახეთის რეგიონში,** კერძოდ საგარეჯოში, გურჯაანსა(ბაკურციხე) და ქ.თელავში მცხოვრები დევნილებისათვის.

2014 წლის 22 სექტემბერს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების შესაბამისად, დევნილთა მდგომარეობის და საჭიროებების ადგილზე შესწავლის მიზნით კახეთის რეგიონში, კერძოდ, თელავში, გურჯაანში (ბაკურციხე, წნორი, ახტალა), საგარეჯოში, მივლინებულ იყო სამინისტროს თანამშრომელთა ჯგუფი (მინისტრის თანაშემწე-ლ.დუნდუა, დეპარტამენტის უფროსი-ნ.გუგუჩია) მინისტრის მოადგილის თ.კვირტიას ხელმძღვანელობით, რომელიც შეხვდა საგარეჯოში (დარეგისტრირებულია 26 ოჯახი, 69 სული), გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხეში (43 ოჯახი, 140 სული), დაბა წნორსა (9 ოჯახი, 34 სული) და სოფელ ახტალაში (7 ოჯახი, 20 სული), აგრეთვე ქ.თელავში (46 ოჯახი, 138 სული) კომპაქტურ ჩასახლებებში მცხოვრებ დევნილებს.

საგარეჯოში სამინისტროს თანამშრომელთა ჯგუფი შეხვდა „ჯეოჰოსპიტალსის“ სამედიცინო ცენტრის მენეჯერს ბატონ კონსტანტინე გრძელიძეს, რომელმაც გამოთქვა მზადყოფნა აქციის ფარგლებში ექიმების ბრიგადის მისდამი რწმუნებულ დაწესებულებაში განთავსებასთან დაკავშირებით.

სამინისტროს თანამშრომლებთან ერთად ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდა აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის თანამშრომელიც,

აქციის ფარგლებში გასინჯვებს აწარმოებდნენ ,,აკად. ო.ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის“ ექიმი-ქირურგი; ექიმი-ოფთალმოლოგი ოფთალმოლოგიური კლინიკიდან „ახალი მზერა“ და დევნილთა სამედიცინო დაწესებულებების წამყვანი ექიმები. კახეთის რეგიონში სულ განხორციელდა 660-მდე ვიზიტი, მიღებული იყო 150-მდე როგორც აფხაზეთიდან, ასევე სამაჩაბლოდან იძულებით გადაადგილებული პირი,აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობაც. გაცემულია **7451.657** ლარის მედიკამენტი (თითოეულ პაციენტზე გაიცა მედიკამენტები როგორც ექიმების დანიშნულებების შესაბამისად, აგრეთვე 5.083 ლარის ღირებულების ,,პირველი დახმარების სამედიცინო ნაკრები’’).

2014 წლის 19-21 დეკემბერს „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა გასვლითი პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვების“ პროგრამის ფარგლებში **სამეგრელოს რეგიონში, კერძოდ ხობის რაიონში,** განსახლებული დევნილების გასინჯვებს აწარმოებდნენ ,,აკად. ო.ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის“ ექიმი-ქირურგი; სამედიცინო ცენტრ ,,ლანცეტის“ ექიმი-გინეკოლოგები, „დიაბეტის, ენდოკრინული და გულ-ფილტვის დაავადების ცენტრის“ ენდოკრინოლოგები, აგრეთვე აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სამედიცინო დაწესებულებების წამყვანი ექიმები. ღონისძიებაზე სულ გაისინჯა 250-მდე აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირი, აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობა; განხორციელდა 900-მდე ვიზიტი. გაცემულია **5351.701** ლარის მედიკამენტი (თითოეულ პაციენტზე გაიცა მედიკამენტები როგორც ექიმების დანიშნულებების შესაბამისად, აგრეთვე 5.083 ლარის ღირებულების ,,პირველი დახმარების სამედიცინო ნაკრები’’).

2014 წელს სულ გასინჯულია **5630** ბენეფიციარი, განხორციელდა **18389** ვიზიტი: სამეგრელოს რეგიონში-3 300-მდე ბენეფიციარი, განხორციელდა 10 564-მდე ვიზიტი; იმერეთის რეგიონში-500-მდე ბენეფიციარი, განხორციელდა 2000-მდე ვიზიტი; ქვემო ქართლში-570-მდე ბენეფიციარი, 1650-მდე ვიზიტი; თბილისში - 560 ბენეფიციარი, განხორციელდა 1555 ვიზიტი; აჭარის რეგიონში-380-მდე ბენეფიციარი, განხორციელდა 1200-მდე ვიზიტი; სამცხე-ჯავახეთში-170-მდე ბენეფიციარი, განხორციელდა 760-მდე ვიზიტი; კახეთის რეგიონში - 150-მდე ბენეფიციარი, განხორციელდა 660-მდე ვიზიტი.

გასვლითი ღონისძიებების ფარგლებში სულ გაცემულია 67 277.221 ლარის მედიკამენტი, აქედან 63 297.921 ლარის - პროგრამის ფარგლებში შესყიდული, ხოლო 3979.30 ლარის მედიკამენტი ჰუმანიტარულად გადმოცემული: სამეგრელოს რეგიონში გაიცა 28 122.18 ლარის ღირებულების მედიკამენტი, იმერეთის რეგიონში-7342.53 ლარის, ქვემო ქართლში-4850.343 ლარის, თბილისში-5052.513 ლარის ღირებულების

მედიკამენტი; აჭარის რეგიონში-10 800.14 ლარის; სამცხე-ჯავახეთში-3657.853 ლარის; კახეთის რეგიონში-7451.657 ლარის მედიკამენტი.

სამედიცინო გასინჯვებს აწარმოებდნენ შემდეგი სამედიცინო დაწესებულებების წამყვანი ექიმი-სპეციალისტები:

1.სამედიცინო ცენტრი ,,ლანცეტი“,
2.,,აკად. ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა“
3.,,აკად. ო.ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი“,
4.კლინიკა „ახალი მზერა“,
5.„დიაბეტის, ენდოკრინული და გულ-ფილტვის დაავადების ცენტრი“,
6.კლინიკა ,, ენ მედიცი’’,
7.ჩაჩავას კლინიკა,
8.აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სამედიცინო დაწესებულებები (დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი, დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი „ დიოსკურია“, დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი „აფხაზეთი“, დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი „ცხუმი“, „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ზუგდიდის პოლიკლინიკა“, „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სენაკის პოლიკლინიკა“, „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ფოთის პოლიკლინიკა“, „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ქუთაისის პოლიკლინიკა“, „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ჯვარის პოლიკლინიკა“).

`აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა გასვლითი პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვების~ პროგრამის მედიკამენტებით უზრუნველყოფა განხორციელდა გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ შპს `ეი-ბი-სი~ ფარმაციასგან მიღებული მედიკამენტებით. ააქციების ფარგლებში დარიგდა სამინისტრისთვის გადმოცემული სხვადასხვა ჰუმანიტარული ტვირთი.

სამინისტროში პერმანენტულად ხორციელდება პროფილაქტიკური გასინჯვების შედეგების შესწავლა და ანალიზი, რაც რეგიონში მოსახლეობის ავადობის შესახებ გარკვეულ ინფორმაციას გვაწვდის. ანალიზის შედეგებმა გვიჩვენა, რომ დასავლეთ საქართველოში. კერძოდ სამეგრელოს რეგიონში ძირითადად პრევალირებს ნერვული და სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები (დარჩელი და ზუგდიდი), ასევე მაღალია ენდოკრინული სისტემის დაავადებათა რიცხვი (ფოთი).

იმერეთის რეგიონში განსახლებულ დევნილთა პროფილაქტიკური გასინჯვების შედეგების შესწავლამ აჩვენა, რომ მაღალია სისხლის მიმოქცევის და საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებათა რიცხვი, ხშირია თვალის დაავადებებიც.

მმსგავსი ავადობის სურათი აღინიშნება თბილისში, რუსთავსა და ბორჯომში .

5. **აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, აგრეთვე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეთა უსინათლოების სოციალური რეაბილიტაცია პროფესიული სწავლების გზით პროგრამის** რეალიზაციისათვის გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი. გამარჯვებულად გამოცხადდა ა(ა)იპ „რაიდმედი", რომელთანაც გაფორმდა ხელშეკრულება, პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 7 უსინათლო ბენეფიციარის სწავლება. მათ შორის ერთი არის ოკუპირებული ტერიტორიიდან. პროგრამის ღირებულება შეადგენს 2339,96 ლარს.

6. **„აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, აგრეთვე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეთა სამედიცინო პერსონალის გადამზადების პროგრამის"** განხორციელებისათვის ასევე გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი. ტენდერის გამარჯვებული გახდა ს.ს „ვერე-ხხჯ". Შპროგრამა ითვალისწინებდა 30 მედპერსონალის გადამზადებას. საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 20 ექიმისა და 10 ექთნის სწავლება, (ოკუპირებული ტერიტორიიდან 15 ბენეფიციარი). Შროგრამის ღირებულება შეადგენს 8799 ლარს.

სანგარიშო პერიოდში სამინისტროსთვის მოწოდებულ იქნა ჰუმანიტარული ტვირთი სხვადასხვა ორგანიზაციებიდან. კერძოდ: შპს „ეი-ბი-სი" ფარმაციასგან – 2013,59 ლარის ღირებულების მედიკამენტები, საერთაშორისო ჰურმანიტარული ორგანიზაცია „ᲘმᲩᲯღ"-სგან 11088 ლარის ღირებულების ჰიგიენური კომპლექტები და 10216 ლარის ღირებულების სასკოლო კომპლექტები, შპს "ფაინ თრი" სგან – 87.7 ლარის ღირებულების ბავშვის კვება „ჰუმანა".

ინდივიდუალური ჰუმანიტარული დახმარების გაწევის მიზნით, სამინისტროში შემოსული განცხადებების საფუძველზე, გაცემული საქონლის ღირებულებამ შეადგინა 431.74 ლარი. ერთ ბენეფიციარზე გაიცა 806.4 ლარის ღირებულების ინვალიდის გადასაადგილებელი საშუალება. განცხადებების განხილვა ხორციელდება კომისიური წესით.

- გალის რაიონის სამედიცინო დაწესებულებებზე დაიცა 38679,95 ლარის ღირებულების ტვირთი.
- ოქუმის სასწრაფო სამედიცინო სამსახურისთვის 9213.37 ლარის სამედიცინო საგნები;
- შპს „ფახაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ ქალთა კონსულტაციას" გადაეცა – 10482,22 ლარის სამედიცინო საგნები, მათ შორის მუდმივ სარგებლობაში 1 ცალი ექოსკოპიის გადამწოდი;

- სსიპ ზემო აფხაზეთის სასწაფო სამედიცინო დახმარების სამსახურს – 3750.81 ლარის სამედიცინო საგნები;

- ზემო აფხაზეთის საავადმყოფოს – 11674.83 ლარის სამედიცინო საგნები;

- შპს„ააფხაზეთის ფსიქო–ნევროლოგიურ დისპანსერს“ – 1131.88 ლარის სამედიცინო საგნები;

გასვლითი პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვების აქციის ფარგლებში გაცემულია 18230.84 ლარის ღირებულების სამედიცინო საშუალებები: კონდომი და მედიკამენტები. აასევე სასკოლო ჩანთები, ჰიგიენური პაკეტები, სამედიცინო ხალათები და არასტერილური ხელთათმანები.

სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა დეპარტამენტი საანგარიშო პერიოდში ახორციელებდა აფხაზეთიდან დევნილი, ასევე ოკუპირებულ აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სამედიცინო დახმარების ხელშემწყობ საქმიანობას. ხორციელებდა მოქალაქეთა ყოველდღიურ მიღება. სულ განხორციელდა 1194 მიღება, საქართველოს ოკუპირებული თერიტორიაზე მცხოვრებ ეთნიკურად აფხაზი 75 მოქალაქისათვის მომზადდა შუამდგომლობა სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებში.

სამინისტროს ხელმძღვანელების რეზოლუციების შესაბამისად, დამუშავებულია მოქალაქეთა 1108 მდე განცხადება, აფხაზეთის მთავრობიდან შემოვიდა 400 წერილი, რომელზედაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მომზადდა შესაბამისი პასუხი.

დდევნილთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით სამინისტრომ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა რამდენიმე სამედიცინო დაწესებულებებთან, მათ შორის

– 2014 წლის 9 იანვარი – გაფორმდა მემორანდუმი სამინისტროსა და სპორტული მედიცინისა და რებილიტაციის ცენტრს შორის,

– 2014 წლის 3 მარტი – გაფორმდა მემორანდუმი აკად, ვ,ივერიელის სახ, ენდოკრინოლოგია-მეტაბოლოგია-დიეტოლოგიის ცენტრსა და ჩვენს სამინისტროს შორის, რომლის ფარგლებში იმავე დღეს 25 მრავალშვილიან დევნილ ქალს ჩაუტარდა საკონსულტაციო დახმარება, ლაბორატორიულ ინსტრუმენტული გამოკვლევები.

– 2014 წლის 3 აპრილი – გაფორმდა მემორანდუმი „აკად, ნ.ყიფშიძის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკა“სა და აფხაზეთის მთავრობას შორის.

– 2014 წლის 8 აპრილი – გაფორმდა მემორანდუმი „აკად. ჯო.ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრსა და აფხაზეთის მთავრობას შორის, რომლის ფარგლებში აღნიშნულმა ცენტრმა აქტიური მონაწილეობა მიიღო სამინისტროს მიერ დაგეგმილ პროფილაქტიკურ გასინჯვებში.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში 2014 წლის 8 აპრილს და 14 აგვისტოს განხორციელდა ერთობლივი აქცია კლინიკა „ენმედიცთან“, რომელიც მოიცავდა აფხაზეთის ომის ვეტერანთა და ომში შვილდაკარგული დედების სამედიცინო მომსახურებას – კონსულტაცია, კლინიკო-ლაბორატორიული გამოკვლევები. 8 აპრილის აქციით სულ მომსახურებული იქნა 41 ბენეფიციარი (182 ვიზიტი). ხოლო 14 აგვისტოს – 61 ბენეფიციარი (308 ვიზიტი). 2014 წლის 30 ოქტომბერს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ კლინიკა ”ენმედიც”-თან ერთად, მემორანდუმის ფარგლებში ჩაატარა ღონისძიება, რომლის დროსაც 5 თვიდან 2 წლამდე ასაკის 25 დევნილ ბავშვს და მათ მშობლებს ჩაუტარდა ექიმთა კონსულტაციები, სამედიცინო-დიაგნოსტიკური გამოკვლევები და დაურიგდა საბავშვო კვება, ლლიბერო-ს პამპერსები და ვიტამინები.

2014 წლის 25-26 ივნისს ჩატარდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ერთობლივი ღონისძიება მიძღვნილი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, ცნობილი ოფთალმოლოგის სიმონ მიმინოშვილის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა და სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, სადაც სამინისტროს თანამშრომელებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს.

2014 წლის 15-17 სექტემბერს ქ. რუსთავში ჩატარდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სხვადასხვა სტრუქტურების ერთობლივი ღონისძიება იქ ჩასახლებულ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი პირობების, სოციალური და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლის და მათ გამოსასწორებლად ღონისძიებების დასახვის მიზნით. სამინისტროს თანამშრომლებმა, აქციის სხვა მონაწილეებთან ერთად, შეისწავლეს 29 კომპაქტურად ჩასახლებული ობიექტის საჭიროებები, მათ შორის ჯანდაცვის მიმართულებით. დაფიქსირებულია დევნილების კონკრეტული მოთხოვნები და დაისახა გეგმები მათი გადაჭრის მიზნით. ყველა კომპაქტურ ჩასახლებაში ჩატარდა ზეპირი ინსტრუქტაჟი საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში დევნილების ჩართულობისა და აფხაზეთის ჯანდაცვის სამინისტროში მოქმედი პროგრამების შესახებ, იმ ცვლილელების შესახებ, რომელსაც ახორციელებს საქართველოს

შედგა შეხვედრა ქ.ზუგდიდში ოკუპირებილ ტერიტორიაზე კერძოდ, გალის რ–ში და ქ.გალში განთავსებული სამედიცინო დაწესებულებების მთავარ ექიმებთან, სადაც დაისახა თანამშრომლობის სამომავლო გეგმები.

ეს შეხვედრები მიიღებს მუდმივ ხასიათს. ეტაპობრივად მოხდება ოკუპირებულ ტერიტორიაზე მომუშავე სამედიცინო პერსონალის პერსონიფიცირებული გაცნობა და შეძლებისდაგვარად მათი ჩართვა სამინისტროში მოქმედი პროფესიული გადამზადების პროგრამაში.

სამინისტროს უშუალო ჩარევით ხდება ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებთა და აგრეთვე აფხაზეთიდან დევნილთა სხვადასხვა სახის პრობლემების გადაჭრა(მოგვარება). საჭიროების შემთხვევაში მზადდება შუამდგომლობა საყოველთაო ჯანდაცვის ცენტრებში ქირურგიულ ჩარევაზე, ქიმიური და სხივური თერაპიის დაფინანსების დაჩქარების მიზნით. აგრეთვე ქ.ზუგდიდის და ქ.ქუთაისის კატასტროფის სამსახურებთან მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად ხორციელდება ოკუპირებული ტერიტორიებიდან მძიმე მდგომარეობაში მყოფი პაციენტების გადმოყვანა და კლინიკებში ოპერატიულად განთავსება.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დავალებით მოძიებულ იქნა ინფორმაცია საქართველოს რეგიონების მიხედვით ინვალიდის ეტლის საჭიროების შესახებ და დევნილებს გადაეცათ ეტლები : თბილისში 2 ბენეფიციარს, ბეთუმში-1, ზუგდიდში-2, ხობში-1, იმერეთის რეგიონში-2, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე (გალის რაიონი)-2 ბენეფიციარს.

ხორციელდება მუდმივი კონტაქტი ოკუპირებული ტერიტორიიდან გადმოსული ეთნიკურად აფხაზ პაციენტებთან და მათ ნათესავებთან. მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგი, რამაც ბოლო დროს მიიღო მუდმივი ხასიათი.